სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1990 შაბათი 17 ნოემბერი №138 (10375) ფასი 3 კაპ.

## ახალი საქართველოს უზენაესი საბჭო მუშაობას შეუდგა

14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის პირველი მოწვევის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი სესია. ახალ დეპუტატთა კორპუსთან ერთად, რომელიც გასაბჭოების შემდეგ პირველად იქნა არჩეული მრავალპარტიულ საფუძველზე, აქ მოწვეული იყვნენ არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ხელმძღვანელები.

სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. პატრიარქმა დეპუტატებს დაულოცა საქართველოს ერთობისა და დამოუკიდებლობის სასიკეთო მოღვაწეობის გზა, აღავლინა ლოცვა და საჩუქრად უძღვნა ახალ უზენაეს საბჭოს ბიბლია და იერუსალიმიდან ჩამოსვენებული „აღდგომის“ ხატი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ყველა იმათგანის ხსოვნას, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაეცა.

შემდეგ სესია მუშაობას შეუდგა. იგი გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ, რომელმაც შეკრებილთ მოახსენა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგები.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი.

აირჩიეს სესიის ხელმძღვანელი ორგანოები: სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

სამდივნოს შემადგენლობაში არიან დეპუტატები ალიკო ქობულაშვილი, ეთერ ყაველაშვილი, ნანანა გაბაშვილი, თემურ ჯანელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ფოტი ხიტლოვი, ნუგზარ მამალაძე, მერაბ ბალარჯიშვილი და ბეჟან აბესაძე.

სარედაქციო კომისიის წევრებად აირჩიეს დეპუტატები ამირან კალაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ნოდარ წულეისკირი, თედო ნინიძე, ალექსანდრე კავსაძე, მინდია უგრეხელიძე.

სამანდატო კომისიაში შევიდნენ დეპუტატები ბიძინა ლანგაძე, გია ფირცხელაიშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, დიმიტრი ქებურია, ლია კაცაძე, ანრი ყრუაშვილი, რევაზ კემულარია, სერგი რიგვავა, ბეჟან გოზაშვილი, მინდია სალუქვაძე და ტრისტან ნიაზვილი.

შესვენების შემდეგ სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ბიძინა ლანგაძე.

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ახლადარჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნოდარ ჭითანავას, რომელმაც განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე.

სესიამ ცნობად მიიღო ეს განცხადება და დაავალა მთავრობას განაგრძოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება, სანამ უზენაესი საბჭო ახალი საქართველოს მინისტრთა საბჭოს აირჩევდეს.

ამის შემდეგად დეპუტატები შეუდგნენ სესიის 14-15 ნოემბრის სხდომების დღის წესრიგის განხილვას. წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

2. დეკლარაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საპროგრამო განცხადებასთან დაკავშირებით.

3. გარდამავალი პერიოდისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის კანონი.

4. მიმართვა მსოფლიოს ხალხებს.

5. მიმართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს.

6. მიმართვა სრულიად საქართველოს.

7. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა.

8. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დაწესება.

9. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.

10. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.

11. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

12. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა.

13. ადამიანის უფლებათა დაცვა და მართლწესრიგის განმტკიცება.

14. შესაბამისი მუდმივი კომისიების მიერ უპირველესი კანონებისა და დადგენილებების შემუშავება.

15. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო წინადადებით გამოვიდა დეპუტატი მურმან მაჭავარიანი. გამოხატა რა დეპუტატებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ნება, მან წამოაყენა წინადადება აირჩიონ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის სპიკერი ზვიად გამსახურდია.

სხვა კანდიდატურები ამ პოსტზე არ დაუსახელებიათ.

გამოცხადდა შესვენება, რომლის შემდეგაც გამოვიდნენ სამდივნოს ხელმძღვანელი დეპუტატი ალიკო ქობულაშვილი, სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ამირან კალაძე.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ვახტანგ ქითავას, რომელმაც გამოაცხადა შესვენების დროს გამართული კენჭისყრის შედეგები.

ფარული კენჭისყრის შედეგად ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ერთხმად, დარბაზის ტაშის გრიალში მტკიცდება ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონის პროექტის საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა დავით კუპრეიშვილმა, სერგი რიგვავამ, თემურ ქორიძემ, გიზო კორძაძემ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ნოდარ ნათაძემ, ავთანდილ იმნაძემ, აპოლონ სილაგაძემ, ლევან ალექსიძემ, შალვა წიწქალაშვილმა, მინდია სალუქვაძემ, რომან გოცირიძემ, დავით ბერძენიშვილმა, გოგი გულბანმა, თამაზ დიასამიძემ, თამაზ გამყრელიძემ და სხვებმა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

---

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

---

## ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია, როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იანი და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს მოამბემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

---

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკა.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

3. კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი წერეთელი — 150

იანვრის ღამეს, 1915 წელს თავის ხოველ სხვიტორში, მშობლიურ სახლში სამუდამოდ დახუჭა თვალი მოხუცმა აკაკიმ, საქართველოს უდიდეს პოეტთაგანმა და ქართველი ხალხის ნაციონალურმა სიამაყემ.

როდესაც ავადმყოფი და დაუძლურებული პოეტი უკანასკნელად მოვიდა მშობლიურ ხოველში, მას იმ დროს უკვე გამოვლილი ჰქონდა თავისი ძნელი, მაგრამ ულევად შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრების გზა. ტანჯვა მარადისადმი მიძღვნილ ლექსში მას საუცხოოდ ჰქონდა გამოთქმული ამ დროის მწვავე განცდა სამოქალაქო იდეალებისათვის მებრძოლ ტრიბუნის და პოეტის ტრაგედიისა, რომელმაც სიცოცხლეში ვერ ჰპოვა ოცნებათა სრული განხორციელება.

მთელი ჩემი სიცოცხლე
ტანჯვაა და ვაება,
ამირანის ჯაჭვებით
დაბმული უკვდავება!

მაინც ცხოვრების უკანასკნელ დღეებში პოეტს არ შეეძლო არ ჰქონოდა ბედნიერი შეგნება იმისა, თუ რა დიდი ღირსება და პატივი იყო მისი ძვირფასი სიცოცხლე მრავალტანჯული, მაგრამ გმირი და მხნე ერისათვის, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ცეცხლსა და კვამლში უკვე სჭვრეტდა თავისი ახალი ცხოვრების ელვარე განთიადს.

აკაკის არასოდეს დავიწყნია თავისი საოცრად ბრძნული სიტყვები, რომლითაც მან ერთხელ მიმართა ნიკო ნიკოლაძეს, რომ „მოუხველი იყო და ნათესი ხშირად არა ჩანს ბნელ მიწაში, ხშირად ზედ ტალახი და თოვლი ეყრება, მაგრამ როცა გამოზაფხულდება, ერთბაშად იჩენს თავს". იგი არ ფიქრობდა, რომ მისი ნათესი უცებ ამოვიდოდა და თვითონვე მოიმკიდა კიდეც, მაგრამ აკაკი ნაწილობრივ მაინც მოესწრო თავისი დიდი პოეტური ამაგის ნაყოფს, მან სიცოცხლეშივე ნახა თავისი ხალხის გამოღვიძების ყურადღება, მან ჯერ კიდევ ჭაბუკური სიმღერებით გამოთქვა ჩვენი ხალხის ზრუნვა და ფიქრი, მან იმთავითვე შეძლო ხალხის გულის ყველაზე მგრძნობიარე სიმების აჟღერება.

ხალხის სიყვარული, როგორც ნათელი შარავანდი, აკაკის თან ახლდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მისი ლირიკული შედევრები და საუკეთესო პოემები, დრამატული და ბელეტრისტული მოწინავე და კულტურული ქართველობის რუსეთის მთელ იმპერიაში, დაკავშირებულია ამ ორი დიდი პოეტისა და ქართველის უკვდავ სახელებთან. და თუ „ილია ჭავჭავაძე იყო ფიქრი და ხედვა საქართველოსი, აკაკი მისი გრძნობა და სიხარული იყო". ილია და აკაკი თავის შემოქმედებაში გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ცხოვრებას, ამავე დროს უჩვენებდნენ მას ახალ გზებს და მე-

# „გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე"!

ძიება და გაიხარა იმ უზომო სიყვარულით, რომელიც მას ზოგადი და ხავსე გულით მიუძღვნა მშობლიურმა ქვეყანამ.

აკაკის ბიოგრაფია, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის დიდი დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება, გარეგნულად მშვიდი, მაგრამ შინაგანად დაძაბული და ბობოქარი, საოცარ უნისონში იმყოფება ქართველი ერის მთლიან ცხოვრებასთან. დააკვირდით. განა ყოველი თარიღი აკაკის და ილიას პოეტური და საზოგადოებრივი ცხოვრებისა ღრმადმნიშვნელოვან ეტაპს არ წარმოადგენს საქართველოს ზეაღმავლობაში, მის კულტურულსა და პოლიტიკურ განვითარებაში?

აკაკიმ თავისი დიდი პოეტური გზის დასაწყისშივე მიიპყრო თანამედროვე საქართველოს ნაწარმოებები პოეტის სიცოცხლეშივე გადავიდნენ ხალხში და ხალხის გულში დაიკავეს სამუდამო ბინა. აკაკის ლექსებს მღეროდა და დღესაც მღერის მთელი საქართველო. როდესაც სომეხმა პოეტმა ავეტიკ ისააკიანმა მოისმინა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, მან აღტაცებით წამოიძახა: „დიდება პოეტს, რომელსაც იმღერის მისი ერი! ის მარად უკვდავია".

აკაკის სახელი განუყოფელია ილია ჭავჭავაძის სახელთან. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, ქართული პრესა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ლიტერატურა, თეატრი, სახალხო განათლება, ყოველივე ის, რამაც ქართველი ერი მე-19 საუკუნეში აქცია ერთ-ერთ რსპექტივებს მომავალი ცხოვრებისაკენ.

„მშობლიური ქვეყნის მონატრე", როგორც აკაკის ვაჟა-ფშაველამ უწოდა, კარგად იცოდა გარჩევა წარმავალის და უკვდავის. მაგრამ მას მტკიცედ სჯეროდა ერთი რამ, ის ამბობდა „მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლინებას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს... ვინაც აწმყოში წილი არ უდევს იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს".

აკაკიმ შექმნა ქართული მხატვრული პროზის შედევრი „ბაში-აჩუკი" და მომხიბლავი თავისი გულწრფელი უშუალობით „ჩემი თავგადასავალი". აქ და სხვა მოთხრობებში აკაკიმ გვიჩვენა დაუშრეტელი შესაძლებლობანი ქართული სიტყვის ბუნების, მან გვაგრძნობინა მაერთვანი სინარნარე და სიტკბო ქართული მეტყველებისა.

პირველი მსოფლიო ომის დღეებშიც, სასტიკი ისტორიული განსაცდელის ჟამს, მოხუცი აკაკის ხმა კვლავ განაგრძობდა ჟღერას და მოგვიწოდებდა მხნეობისა და ხალხის სიმტკიცისაკენ, სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსების დაცვისაკენ:

რომ გულწრფელად მოვნახოთ,
ქართლის შვილებმა თავი გულთ,
და სიკვდილით გამოვიხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი,

საქართველო მუდამ საამოდ მოიგონებს თავის ტკბილხმოვან მგოსანს, რომლისგანაც იგი ესოდენ ბევრით არის დავალებული და არასოდეს მშობელი ხალხი არ დაივიწყებს სხვიტორელ პოეტს. ილია ჭავჭავაძის თქმით „მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ატკბობდა ქართველის ყურს, აუზავებდა გონებას და ამართავდა ქართველის გულს ქართველობისა და საქართველოს სიყვარულისათვის".

დღეს აკაკი კვლავ ჩვენთან არის და ძნელბედობის ჟამს ისე გვმოძღვრავს:

„ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გასჭერით,
ახლაც ვეტყვი მე,
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე!"

ნ. ღარიბაშვილი

---

ჩვენს ქარხნებსა და საწარმოებში —

## ობსეტური ბეჭდვის უბანი

უკანასკნელ წლებში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი მუშავდება საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდმრეწვის" ხელმძღვანელობის თაოსნობით. კარგი ტრადიციების მქონე კოლექტივი დღენიადაგ დაუცხრომელ შრომასა და ახალი გზების ძიებაშია.

კომბინატში მრავალი სიახლეა. დღეს გვინდა მკითხველს მოვუთხროთ ობსეტური ბეჭდვის უბნის (უფროსი ა. ფარცვანია) მაჯისცემასა და მომავლის პერსპექტივაზე, რომლის არსებობა სულ რაღაც ორ წელიწადს ითვლის. დაინტერესებულმა მკითხველმა, მცირეოდენი წარმოდგენა რომ ჰქონდეს ამ უბნის მუშაობის სტრუქტურასა და სპეციფიკაზე, პირველყოვლისა, მისი დაარსების იდეა უნდა იცოდეს, რომელზედაც დაწვრილებით მოგვითხრობს უბნის უფროსი:

„1988 წელს ჩვენმა წარმოებამ ზუგდიდის ჩაის გადამწონი ფაბრიკიდან იჯარით აიღო გერმანული მარკის დანადგარი, ძირითადად სწორედ ამ ფაბრიკას ვამარაგებთ ჩაის ყუთებით წარმოებისათვის ვამზადებთ ხელსახოცებს, ყდებს, გასავლის ფაქტურებს, სამომხმარებლო ქაღალდს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ შეზღუდულები არა ვართ, შეგვიძლია ფართო ასორტიმენტის პროდუქციის დამზადება, მაგალითად სასკოლო რუქების, სათამაშო ბანქოს ქაღალდისაც კი. მანქანა ნებისმიერი ზომის ქაღალდზე ასრულებს ობსეტურ ბეჭდვას, რომელიც ჯერჯერობით მაქსიმალურად არ არის დატვირთული, რომ იტყვიან, „სამუშაო ფრონტი" ჯერ გახსნილი არა გვაქვს. უბანზე შრომა თითქმის მთლიანად ავტომატიზებულია. მანქანა-დანადგართან მხოლოდ ოთხი კაცი დგას. უბანი პატარაა (სულ 21 მუშა), ახალგაზრდული, ძირითადად საბაზისოა, სადაც ვამზადებთ აგრეთვე ადგილობრივ კადრებს (კომბინატის ტერიტორიაზე შენდება და მალე მწყობრში შევა რესპუბლიკური მასშტაბის ობსეტური ბეჭდვის საამქრო). სიახლეა, ის რომ კომბინატის ადმინისტრაციას აღებული აქვს კურსი, დროის მოკლე მონაკვეთში მოამარაგოს საქართველოში არსებული ყველა ფაბრიკა-ქარხანა ობსეტური ბეჭდვის პროდუქციით, დააკმაყოფილოს ხარისხით. ამისათვის პერსპექტივაში შეეცდის ფირმა „დომინოს" ობსეტური ბეჭდვითი დანადგარის ჩამოტანა, რომელიც თვითონ აკეთებს ყოველგვარ სამუშაოს, მხოლოდ ზედამხედველობა სჭირდება. აპარატურის ათვისების მიზნით ადგილობრივი სპეციალისტები გაიგზავნებიან მოლდავეთში, სადაც ხელშეკრულება დაიდო კიშინიოვის პოლიგრაფიულ კომბინატთან. იქაც ანალოგიური ფირმის აპარატი აქვთ. იმედია, კიშინიოველი კოლეგების დახმარებით ჩვენგან წარგზავნილები კარგად დაეუფლებიან ახალ ტექნიკას და მის საიდუმლოებებს".

უბანში საქმის კარგი მცოდნე და ენთუზიასტი ახალგაზრდები არიან. ამას წინათ მანქანა-დანადგარი გამოვიდა მწყობრიდან. საჭირო იყო რუსეთიდან კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა, მაგრამ ინიციატივიანმა ბიჭებმა გამოიჩინეს დიდი მონდომება, მთელი ღამის განმავლობაში შეძლეს მანქანის შეკეთება, რითაც წარმოების სახსრებიც დაიზოგა და მოცდენასაც ადგილი არ ჰქონია.

ამ მაგალითზე, ეჭვგარეშეა, რომ უბანს ახლო მომავალში უთუოდ კარგი სპეციალისტები ეყოლება. ნ. ნანავა, პ. კოდუა, ზ. ტაბაღუა, კ. ლიპარტია და სხვები საკუთარი ძალებით და არსებული საშუალებებით ყოველნაირად ცდილობენ გააკეთონ წონიანი საქმე და აღწევენ კიდეც. თანამშრომლების ასეთი განწყობა მისასალმებელია. დავძენთ იმას, რომ ასეთი შემართებით გაკეთებული საქმე მომავალში გამარჯვების საწინდარია.

ხ. ჯიქია.

---

## ახალი საქართველოს უზენაესი საბჭო მუშაობას შეუდგა

(დასასრული)

უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონი, შეიტანა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის კანონი, ამიერიდან მას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდება.

სახელმწიფო გერბის, დროშის, რესპუბლიკის ჰიმნის კანონპროექტები დამსწრეთ გააცნო დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა.

ამ პროექტებთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა არჩილ მინდიაშვილმა, ავთანდილ იმნაძემ, ვიქტორ დომუხოვსკიმ, ზვიად ძიძიგურმა, უშანგ ტურაშვილმა, თენგიზ ბუაშვილმა, დავით არევაძემ, როინ მეტრეველმა.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვები: მსოფლიოს ხალხებისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი, სრულიად საქართველოსადმი.

ქართველ ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების სახელით სესიის მონაწილეებს ამ გაერთიანების შტაბების უფროსი დერუ ქითაშავა.

ამაღელვებლად გაისმა გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორის მამუკა ნაცვლიშვილის გამოსვლა. მან სესიის დეპუტატებს გააცნო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის — ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი. ქართველმა ხალხმა სულ რამდენიმე დღის წინ მიაბარა მიწას დიდი მამულიშვილის ნეშტი, რომელიც 66 წელიწადს იყო უცხოეთს გადახვეწილი. მან დატოვა ანდერძი, რომ ქაქუცას დროშა ახლადარჩეულ პარლამენტს მიეღო. მადლიერმა შთამომავლებმა შეასრულეს დიდებული წინაპრის დანაბარები. პატარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზის ტაშის გრიალში შემოასვენეს საქართველოს რესპუბლიკისა და ქაქუცას დროშები.

საზეიმოდ ჟღერს კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება"... ყველანი ფეხზე დგებიან.

ამით სესიის მუშაობის პირველი დღე დასრულდა.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

# მათი სახელების უკვდავსაყოფად

მეწინავეთა მიკრორაიონში უამრავი ქუჩაა, რომელსაც არა აქვს შესაფერისი სახელი. სტახანოველის, მეველოვის, დეკაბრისტების, კომუნის, სოჭის და ა. შ. ამ დასახელებებს არავითარი კავშირი არა აქვს და არც ჰქონიათ ჩვენს სამშობლოსთან.

გავიხსენოთ კომუნისტური მშენებლობის დღეები, როგორ გაიწმინდა ეკალბარდისაგან ჯოლეჯიანის ველი, როგორ გაიყვანეს გზები, როგორ მიიღეს პირველი ქართული ქაღალდი, როგორ დაამშვენეს დასახლებები. გარდასულ დღეთა გმირები იყვნენ ნიკოლოზ ნადარაია, მაშო ხვიჩია, არსენა ჭანტურია, წიფო ნიჟინავა, ალიოშა ესებუა, ტარიელ გვაჯავა, სვიმონ ზხაკაძე და მრავალი სხვა, რომელთა სახელების დარქმევა ზუგდიდის ჩამოთვლილ ქუჩებს დაამშვენებდა, კომბინატის უბნებს შემოუნახავდა მათ სახელებს.

სასურველია ეს საკითხი დაისვას ქალაქის საბჭოს აღმასკომის წინაშე, რათა ოპერატიულად გაკეთდეს საქმე.

მეწინავეთა უბნების წარმომადგენლებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ, მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები. ხალხმა თვითონ უნდა შეურჩიოს თავის ქუჩას ღირსეული სახელი.

ვ. შონია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

## საკავშირო პრესის ფურცლებიდან

„მეტად რთული, არაორდინარული სიტუაცია — ასე დაახასიათა დღევანდელი ვითარება სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ა. ა. ზახაროვმა. ლენსოვეტის სურსათის კომისიაში კი უფრო მძაფრი ტონით თქვეს — სიტუაცია კატასტროფულია.

ქალაქს შესაძლოა არ ეყოს კარტოფილიც კი. სტატისტიკური მონაცემებით ოქტომბრის დასაწყისისათვის ბაზებში ჰქონდათ 73 ათასი ტონა, ეს მაშინ, როცა შარშან ასეთ დროს გააჩნდათ 239940 ტონა. შეუძლებელია შეიძინო სტაფილო, ხახვი. დარღვეულია სახელშეკრულებო მიწოდების მექანიზმი ბალტიისპირეთიდან, ბელორუსიიდან, რუსეთის ოლქებიდან. სათანადო დისციპლინით არც ადგილობრივი სოფლის მშრომელები გამოირჩევიან.

...ზია, რაც უკვე დიდი ხანია თვალითაც არ უნახავთ ქუჩის ისეულობით ქალაქის მცხოვრებლებს. ამ უკანასკნელ წლებში სამი რევოლუციის ქალაქ...

# რა უნდა იღონონ?

სექტემბრის ერთ ჩვეულებრივ დღეს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომელმა დააფიქსირა უზარმაზარი ავტოკოლონა, რომელიც მიემართებოდა ფინეთში. მანქანების ძარა გავსებული იყო კარტოფილით.

ერთი სიტყვით, ძალზე მძიმე დღე დაუდგათ ვეგეტარიანელებს, მაგრამ უფრო მეტად უჭირთ იმათ, ვინც მარხვას არ არის მიჩვეული. ასი ტონა ხორცი, რაც ქალაქს ბაზიდან ეწოდება ყოველდღიურად, სავსებით არ არის საკმარისი. თუმცა ისიც მართალია, რომ მაღაზიებში ჯერ კიდევ გამოჩნდება ხოლმე ინდაური, ქათამი, ძეხვი და სოსისი. ეს ის პროდუქტებია, რიგებში მდგომარეობას მართლაც რომ ვერ უწოდებ სამაგალითოს: ლენინგრადელისათვის ხორცის მოხმარების წლიური ნორმა შეადგენდა 102 კილოგრამს, საშუალო საკავშირო მაჩვენებელი შეადგენს 67 კილოგრამს, ხოლო რუსეთისა — 72 კილოგრამს. ისინი, ვინც აქამდე ჩვენ გვიყოფდნენ ულუფას, ახლა თვით არიან მონდომებული თავიანთთვის დაიტოვონ კარგი ნაჭერი.

ჩვენ კი იძულებული ვართ ან მივეჩვიოთ ამას, ან რაღაც ვიღონოთ.

ლენინგრადის გაზეთი „პიკის საათი“.
№38, 1990 წ.

# გულისხმიერი მუშაკი

სულ რამდენიმე თვეა ზედა წერის ჩაის ფაბრიკას ხელმძღვანელობს გამოცდილი მუშაკი ჯემალ ცხადაია. ფაბრიკას ეკონომიურად უჭირდა. ინიციატივიანი ხელმძღვანელის ხელი უკვე დაეტყო წარმოებას. გარდა იმისა, რომ წარმოებას გეგმები სრულდება, მრავალ სასიკეთო საქმეს ეყრება საფუძველი.

ფაბრიკის დაარსებიდან დღემდე ბინებში არ გაკეთებულა რემონტი. ეს საქმეც წარმატებით დაგვირგვინდა, ჯემალ ცხადაია დიდ ყურადღებას უთმობს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ზამთრისთვის უკვე მოგვამარაგა საწვავით. განსაკუთრებული მზრუნველობის ცენტრშია მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები.

მადლობა მას ასეთი გულისხმიერი მოპყრობისათვის.

ც. ციმინტია,
ნ. ლურწკაია,
გ. არლევლიანი,
ი. ზარქუა.

## თვალსაზრისი

# გარდაქმნა და ზნეობა

დღეს ჩვენ ბევრს ვმსჯელობთ იმის თაობაზე თუ როგორ გამოვიდეთ არსებული ეკონომიკური კრიზისისაგან და სამწუხაროდ უყურადღებოდ ვტოვებთ საგანგაშო სიმპტომს — ჩვენს ჩამორჩენას სულიერ პროგრესში.

ეკონომიკა და ზნეობა განუყოფელნი არიან და თუ ჩვენ ვერ განვახორციელებთ სულიერ გარდატეხას და აღორძინებას, მაშინ ეკონომიკურ პრობლემებსაც ვერ გადავწყვეტთ.

რატომ აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოება „უძრაობის“ მდგომარეობაში? მიზეზი ბევრია, მაგრამ ეს უმთავრესად გამოწვეულია ჩვენი ზნეობრივი, სულიერი სამყაროს დამახინჯებით. დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ საზოგადოებაში ზნეობრივი კრიზისის არსებობა. ჩვენ გარდაქმნა უნდა დავიწყოთ ადამიანის სულიერი სამყაროს აღორძინებიდან და მისი ძირეული გარდაქმნიდან. არც „პერესტროიკა“ ვერც საბაზრო ეკონომიკა ვერც მეცნიერების მიღწევები და ვერც პოლიტიკური რეფორმები ვერ გვიშველის, თუ ვერ მოვახდენთ ადამიანის ძირეულ გარდაქმნას სულიერად.

ეს ყველაფერი კი თვით ადამიანზეა დამოკიდებული. მისგან გამოდის და მასვე უბრუნდება ყველაფერი. მას ესაჭიროება ძმობის, ერთობისა და ნათესაობის გრძნობა, ეროვნული თვითშეგნება, რომელთა გარეშე ის ვერ შეძლებს სრულფასოვან არსებობას.

საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ზნეობრივი აღზრდა, როცა ჩვენ ვმსჯელობთ ჩვენს მომავალზე, რატომღაც ყოველთვის მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური ბაზა და არა საზოგადოების, მისი ყოველი წევრის მორალური სახე. ჩვენთან არსებობს განათლების პრიმატი აღზრდის მიმართ. გავრცელებულია აზრი, რომ ბავშვებისათვის უფრო მნიშვნელოვანია გარკვეული განათლების მიღება, ვიდრე მორალურ ფასეულობათა ცნებების შთაგონება, რის შედეგად იზრდებიან განათლებული, მაგრამ ზოგჯერ ამორალური პიროვნებები.

რა ხდება დღეს ადამიანის ზნეობრივ სამყაროში? რა ზნეობა მწიფდება დღეს ჩვენს ახალგაზრდობაში? რას სთავაზობენ ჩვენს მომავალს, მოზარდებს ეტალონის სახით?

დიდი სიბრძნე არ არის საჭირო რომ გაიგო ცენტრალური საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიის გასართობი პროგრამების, უამრავი ვიდეო ფილმების, კინოგაქირავების, პორნობიზნესის, ფსევდოკულტურის ზეგავლენის მავნე შედეგები, რომლებმაც თავს დაგვატეხეს გარყვნილობის, უზნეობისა და სისასტიკის ნაკადი. ყოველივე ეს სულიერად აღარიბებს ახალგაზრდობას, ამახინჯებს მის ზნეობრივ საფუძველს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოზარდები სწორედ იმ ფილმებს ეტანებიან, რომლის აფიშაზე სწერია 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდები კინოსეანსზე არ დაიშვებიან. ასეთი წარწერა ქონდა უცხოური ფილმის — „ერთხელ ამერიკაში“ აფიშას, რომელიც ამ ნახევარი წლის წინ ჩვენი კინოთეატრების ეკრანებზე გადიოდა. გაფრთხილებას სულაც არ დაუფრთხია მოზარდები. სწორედ 16 წლამდე ასაკის გოგონები და ბიჭუნები იყვნენ ამ კინოსურათის ძირითადი მაყურებლები. შემდეგ ტელევიზიამაც გაუხსნა მწვანე გზა ფილმს „ერთხელ ამერიკაში“ რამდენად ზნეობრივია ამ კინოფილმის დემონსტრირება ტელევიზიით, ამის გარჩევას მე აქ არ შევუდგები. იგი თვითონ იმან განსაჯოს, ვინაც მას უყურა. მაგრამ ის პორნოგრაფიული სცენები, რომლებიც ასე უხვად არის ფილმში დადებით ზეგავლენას რომ ვერ მოახდენდა ახალგაზრდობის ზნეობრივად ჩამოყალიბების საქმეში, ეს ფაქტია. საინტერესოა როგორ განუმარტეს მშობლებმა ტელევიზორის ეკრანთან მიყუჟებულ თავიანთ შვილებს ამ კინოსურათის ზოგიერთი, უხერხული სცენები. ალბათ, უთხრეს, რომ კაპიტალისტური სამყარო გარყვნილების ჭაობშია ჩაფლული და რეჟისორმაც სწორედ ეს წარმოადგინა გაშიშვლებულად და მწვავედ აკრიტიკებსო. არა მგონია ჩვენმა მოზარდმა მაყურებლებმა ფილმის ეს უხერხული სცენები სწორედ ისე აღიქვეს, როგორც მას მშობლები აუხსნიდნენ, ან რეჟისორს აქვს ჩაფიქრებული. სრულყოფილი საზოგადოება მოითხოვს სრულყოფილ წევრებს. შემოქმედება აღმოცენდება მხოლოდ ჯანსაღ სულიერ ნიადაგზე.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, სამართლებრივ სახელმწიფოსა და დემოკრატიის აღორძინებაზე. მაგრამ ეს განუხორციელებელია სიცრუის, ზნეობრივი და სულიერი დამახინჯების ატმოსფეროში. პატიოსნების, სინდისის, ურთიერთდახმარების, სიკეთის ადამიანის ღირსებათა კანონების გათელვისას.

ადამიანთა ურთიერთობის მიმართ სახელმწიფო წყობილება მეორადია. როდესაც ხალხი კეთილშობილია, მაშინ მისაღებია ნებისმიერი წყობილება, ხოლო ადამიანთა გაავება და თავკერძობა აუტანელია ყველაზე სრულყოფილი დემოკრატიისთვისაც კი. თუ თვით ხალხში არ არსებობს სამართლიანობა და პატიოსნება, მაშინ ვერავითარი წყობილება ვერ შველის. საზოგადოების სიძლიერე და უძლურება დამოკიდებულია უპირველესად ცნობიერების სულიერ დონეზე. ადამიანთა ურთიერთობის სიწმინდე უფრო მთავარია, ვიდრე მატერიალური წარმოების გარდაქმნა.

განა საგანგაშო არ არის ჩვენი საყოველთაო ღვარძლიანობა და უნდობლობა ერთმანეთის მიმართ? დანაშაულობის ზრდა მოზარდთა შორის?

სულიერი სამყაროს გაღატაკებამ მიიყვანა ჩვენი საზოგადოება სოციალურ უმწეობამდე და საყოველთაო სკეპტიციზმამდე. ზნეობრივი ცნებები გაუკუღმართებულნი აღმოჩნდნენ. უზნეობა და სულიერი სიმახინჯე ხარბად ისაკუთრებს სხვათა უფლებებს.

დღეს ფული გახდა ადამიანის ღირსების საზომი თუ ჩვენ დროზე ვერ ავლაგმავთ თავკერძობისა და სიხარბის შემოტევას, რომელიც ანგრევს ჩვენი საზოგადოების სიჯანსაღეს, მაშინ დავკარგავთ ეროვნულ სახეს და აღმოვჩნდებით ისტორიული პროგრესის ბოლო ადგილზე.

დემოკრატიაზე გადასვლა შეუძლებელია თუ ჩვენი შეგნება, განათლება და კულტურა დარჩება არსებულ მდგომარეობაში და ვერ შევძლებთ სულიერ და ზნეობრივ აღორძინებას.

ქართველ ხალხს აქვს თავისი სახე, თავისი ისტორია, დიდი წარსული და მომავალი. მან უნდა დაიცვას, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში. გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია ერის გადარჩენისა და აღორძინების პროექტის შექმნა, რომლისთვისაც ჩვენ გაგვაჩნია ბუნებრივი ნიჭიც და ინტელექტიც. პროექტი არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე პარტიისა და ორგანიზაციის მონოპოლიურ აზრს. ის უნდა გამომდინარეობდეს ერის წიაღიდან და წარმოადგენდეს ჩვენი ტრადიციების გამოცდილებისა და ბრძნული აზრის აკუმულირებას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

ანზორ საბეკია,
პედაგოგი.

ექიმი გვირჩევს

# დიფთერია

დიფთერია ძირითადად ბავშვთა ასაკის დაავადებაა. მისი გამომწვევია დიფთერიის ჩხირი. 60 გრადუსზე ისინი იხოცებიან 10 წუთში. პრაქტიკაში გამოყენებული ყველა სადეზინფექციო საშუალება მათ ხოცავს 1-3 წუთში.

ინფექციის წყაროა მხოლოდ ადამიანი—ავადმყოფი ან ბაქტერიამატარებელი.

ავადმყოფი დაავადების გამავრცელებელი ხდება ინკუბაციური (ფარული) პერიოდის ბოლოს. დაავადების გადაცემა არ ხდება მხოლოდ ავადმყოფის ბაქტერიებისაგან განთავისუფლების შემდეგ, რაც შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ლაბორატორიული გზით. დაავადების გავრცელების მხრივ უფრო საშიშია ბაქტერიამატარებელი.

დიფთერია ჰაერ-წვეთოვანი დაავადებაა—დიფთერიის ჩხირს გამოყოფს ავადმყოფი ან ბაქტერიამატარებელი ნერწყვით და ცხვირის ლორწოთი. ამ წვეთებთან ერთად დიფთერიის ჩხირი შეიძლება მოხვდეს თეთრეულზე, სათამაშოზე, წიგნზე და შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა რამდენიმე კვირა, ზოგჯერ თვეებიც. ამიტომ შესაძლოა დაავადების გადაცემა მოხდეს ნივთებით, მესამე პირით. იშვიათად შესაძლოა დაავადების გადაცემა მოხდეს საკვების გზით, საკვები პროდუქტების ინფიცირების შემთხვევაში.

დიფთერია ხასიათდება სეზონურობით. დიფთერიის ავადობა მატულობს შემოდგომა ზამთრის თვეებში, ხოლო გაზაფხულ ზაფხულში მკვეთრად ეცემა.

ადგილობრივი ანთებითი კერა უფრო ხშირად ლოკალიზდება ხახაში, მაგრამ შეიძლება იყოს აგრეთვე ცხვირში, ხორხში, ყურში, თვალში, სასქესო ორგანოებში.

ყველაზე ხშირი ხახის დიფთერიაა.

ინკუბაციური (ფარული) პერიოდი 2—10 დღეა, რის შემდეგაც დაავადება იწყება სწრაფად, ტემპერატურა იმატებს 38 გრადუსამდე. ოდნავი მტკივნეულობა ყლაპვისას. ნუშურები შეწითლებულია და მასზე მორუხო თეთრი ფერის ნადებები ჩნდება. ნადები ნუშურების ზედა პირიდან წამოწეულია. ძნელად სცილდება ხუშურებს, მოცილებისას იწყება სისხლდენა. ხახის დიფთერიის ტოქსიური ფორმის დროს ტემპერატურა სწრაფად აიწევს მაღალ ციფრებს, შეიძლება იყოს ღებინება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე. ავადმყოფი მივარდნილია, იშვიათად აღგზნებული. ტოქსიური ფორმის დროს ფიბრინული ნადები ვრცელდება ენაზეც, შემდეგ გადადის რბილ და მაგარ სასაზე პროცესი გადადის ცხვირხახაზე რის შემდეგაც იწყება ცხვირიდან სისხლიანი გამონადენი, სუნთქვის გაძნელება. ავადმყოფი მოწყენილია, ადინამიური, უარს ამბობს საჭმელზე, თამაშზე. მაჯა აჩქარებულია, ენა შელახილი. ნუშურები და რბილი სასის ლორწოვანი გარსი ჰიპერემიულია და შეშუპებული. ხახის ცვლილებებთან ერთად სივდება ყბისქვეშა ლიმფური კვანძებიც, შეშუპდება კანქვეშა ქსოვილიც. შეშუპება უმტკივნეულოა.

დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე უნდა მივმართოთ ექიმს, რადგანაც დროულად დიაგნოზის დასმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მკურნალობის დროულად დაწყებისა და დაავადების კეთილი გამოსავლისათვის.

დიფთერიის ყველა ფორმით დაავადებულები და აგრეთვე დიფთერიაზე საეჭვოები უნდა მოთავსდნენ სტაციონარში. ავადმყოფის გაწერა საავადმყოფოდან უნდა მოხდეს გამოჯანმრთელების შემდეგ. მხოლოდ ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის ორჯერადი უარყოფითი პასუხის შემდეგ.

დიფთერიის [illegible] ძირითადია აქტიური იმუნიზაცია. მხოლოდ აქტიური იმუნიზაციითაა შესაძლებელი დიფთერიის ლიკვიდაცია. იმუნიზაცია ხდება ადსორბირებული ყივანახველა—დიფთერია—ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინით და ადსორბირებული დიფთერია — ტეტანუსის ანატოქსინით. ბავშვების უმრავლესობა ამ აცრებს იტანს ყოველგვარი გართულების გარეშე.

ძვირფასო მშობლებო! თქვენი ბავშვების ჯანმრთელობა თქვენსავე ხელშია. დროულად დაწყებული პროფილაქტიკური აცრების საშუალებით თქვენ შეგიძლიათ დაიცვათ ბავშვები ასეთი მძიმე ინფექციური დაავადებისაგან, როგორიცაა დიფთერია, თუ თქვენი ბავშვი არაა აცრილი დიფთერიაზე რაიმე მიზეზის გამო, დაუყოვნებლივ მიმართეთ ბავშვთა პოლიკლინიკას, სადაც თქვენს ბავშვს ჩაუტარდება პროფილაქტიკური აცრები.

ნ. ქვარაცხელია,
ქალაქის ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმ-ინფექციონისტი.

## მილოცვები, სურვილები

ქ. ზუგდიდის საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები ულოცავენ კულტურის განყოფილების გამგეს ჯემალ ალიოშას ძე როგავას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

შემდგომი ორგანოების განკარგულებით საქართველოში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის გამო აკრძალულია ენერგოსისტემის დილის (8-10) საათი და საღამოს (18-22) მაქსიმალური დატვირთვის საათებში ყველა საწარმოში ელგამაცხელებელი ხელსაწყოების მუშაობა. ენერგოზედამხედველობის მიერ სისტემატურად იწარმოებს აღნიშნული განკარგულების შესრულების შემოწმება.

საქენერგოს ენერგოზედამხედველობის ფოთის ს-მ განყოფილება.

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) პაციენტებს ღებულობს 21 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24. ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაავადებებზე დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს; ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის

## ძვირფასო მეგობრებო!

თუ გნებავთ შეიტყოთ, საქართველოში რა ხდება და რატომ ხდება,—გამოიწერეთ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო"! თუ გნებავთ წაიკითხოთ ახალი ლექსი და ახალი მოთხრობა,— გამოიწერეთ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო"! თუ გნებავთ შეიტყოთ, რას ფიქრობს ქართველი მწერალი ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალზე,—გამოიწერეთ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო"!

გწამდეთ, ვინც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" ამოუდგა მხარში, იგი საქართველოს სადარაჯოზე დადგა—ლიტერატურული საქართველო, ეს ხომ სრულიად საქართველოა!

რედაქცია.

## გილოცავთ, მეგობრებო!

## ჯილდოები—ღირსეულთ!

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით ქ. ზუგდიდიდან დაჯილდოებული არიან:

აბშილავა კოტე მიტროფანეს ძე —ფაიფურის ქარხნის მუშა.

ბენდელიანი დათუშა ექვთიმეს ძე - ფაიფურის ქარხნის მუშა.

გაბედავა ნაპო ალექსანდრეს ძე —ფაიფურის ქარხნის მუშა.

ზარანდია ტარიელ არჩილის ძე —ფაიფურის ქარხნის საერთო საცხოვრებლის აღმზრდელი.

კაბაკი თამარ ალექსანდრეს ასული— ფაიფურის ქარხნის მუშა.

კაპუსტიანი ვალენტინა იონას ასული— ფაიფურის ქარხნის მთავარი ბუღალტრის მოადგილე.

ქვანჭიანი ნიჯა ბაძუს ასული— ფაიფურის ქარხნის მუშა.

მაწკვალაძე თალიკო არტემის ასული — ფაიფურის ქარხნის მუშა.

ნანავა მამია ხარიტონის ძე— ფაიფურის ქარხნის მუშა.

როგავა ვალია ტარასის ასული —ფაიფურის ქარხნის მუშა.

როგავა რაისა ალექსანდრეს ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა.

ხალია ლუსიანე ივლოს ძე— ფაიფურის ქარხნის მუშა.

ხაჩიძე ელიზბარ თანას ასული— ფაიფურის ქარხნის მუშა.

ხაჩიძე ლუჩიკო მუჭას ასული— ფაიფურის ქარხნის მუშა.

ქირია კლავდია თედორის ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა.

ცვირკუნი გალინა ანდროს ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა.

ცხაკაია ლოლა თანასეს ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა.

ცხაკაია ლოლა სტეფანეს ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა.

წითლაძე მიხეილ ჯოგოს ძე— ფაიფურის ქარხნის განყოფილების უფროსი.

ჭითანავა კლარა აქსენტის ასული— ფაიფურის ქარხნის მუშა.

ხაბურზანია ტოსია ანდროს ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა.

ხარებავა ალექსანდრე ერასტის ძე—ფაიფურის ქარხნის მუშა.

რედაქტორი
ზ. ჭანტურია.

მეუღლე იზოლდა ჩიქობავა შვილი მაია, ძმები მექი, კაკა, ძმისშვილები: ნინა, თამარა. ბიქტორი. ლუდა, ნათელა, ნონა. პაატა. სიდედრი ლუბა ჩიქობავა. ცოლისდა ბელა ჩიქობავა, ქვისლი გოგი მარი, ცოლისდისშვილი დავითი მარი. ახლო ნათესავები იუწყებიან

დავით ბიქტორის ძე მაჭაცარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 ნოემბერს. დაკრძალვა 20 ნოემბერს. გამოსვენება გაგარინის ქ. 65, 4 საათზე. დაკრძალვა ცაიშში.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

იან ფარნას ძე ჯახუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის №7 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

დავით ბიქტორის ძე მაჭაცარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ხუტა. შვილები: ქეთინო, მანანა, თენგიზი. დავითი. დები: მარგო. მევარი. ძმა არედა. რძლები თალიკო მაჭაცარია, ლილი ქვარაია, ვენერა ჩუხუა, მულები: ლუშა, ბუძღუ, მაზლი ვენო, სიძეები მამია გაბისონია. გენო გაბელია, დავე ქოჩუა, ძმისშვილები ინეზა, მარინა, ნინელი. დალი. თორნიკე, გოგი, ბაჩუკი, ვახო ქარჩავები. დისშვილები დოდო, რუსიკო, მედიკო გაბისონიები, მაზლიშვილები, მულიშვილები, ბიძაშვილები მამიდაშვილები იუწყებიან

ეუნა ლადის ასულ ქარჩავა-ჯიქიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 ნოემბერს. დაკრძალვა 20 ნოემბერს 16 საათზე, გამოსვენება სვერდლოვის 1-ლი შესახვევი 15.

ცაიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

დავით ბიქტორის ძე მაჭაცარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე რაისა, შვილები გელოდი, თამაზი. მურმანი. ბორისი. როზა, დალი, დები: ნუცა, თინიკო. რძლები: ლეილა. ნინელა, მარინა, ნონა, სიძეები: კოლია ბიგვავა, კლიმენტი კუჭავა, რუზო ჯიქია. სოსო ბოხუა. ბიძა ლევა ჭაჭუა, შვილიშვილები: ირაკლი, გოგა, კიაზო, იაზო. გოჩა. ლანა. თეა. სუზანა. მარიტა, ნუნუკა ნანავები, ნანა, გოდერძი ჯიქიები, დისშვილები: ჯანიკო. ჯემალი, მერაბი ბიგვავები. ზურა, ემხვარი, ნელიკო კუჭავა, დედიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

შოთა გასილის ძე ნანავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 ნოემბერს. დაკრძალვა 20 ნოემბერს ს. ახალაბასთუმანში.

ახალაბასთუმნის ყრ. სნულუხიას სახ. კოლმეურნეობის გამგეობა, სასოფლო საბჭოს აღმასკომის კოლექტივი იუწყება სამამულო ომისა და შრომის ვეტერანის

შოთა ვასას ძე ნანავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ჟუჟუნა, ზაქრო. ზაური არქანიები, რძლები არიადნა. ლემონჯავა, ნონა ბებია. ლუბა შენგელაია, სიძეები: რაფიელ კუხალეიშვილი, თენგიზ ქანთარია. შვილიშვილები: ირინა, ირმა. მანანა. ლადო. ვახტანგი. შვილთაშვილები მაკა, ნუკა. დისშვილები ვასო. ილიომა, ნინა. შურა. მზია, ძმისწვილები გული. ნაირა, დუსია ოჯახებით იუწყებიან

მანანა თეიმურაზის ასულ მანია-არქანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 ნოემბერს. დაკრძალვა 20 ნოემბერს. გამოსვენება ზუგდიდი, წერეთლის ქუჩა №38.

დედა ლუიზა, და მზევინარი, ძმა მამია სორდიები, დისწვილები: ნათუნა, ჰამლეტ შენგელიები, ძმისშვილი კრისტინა სორდია, ბიძები კაპიტონ სორდია, ქიაზიმი ოდიშარია, ბიცოლები: ვეროკო, ნელი, დეიდები: გული, მინერა. ბიძაშვილები: მარინა, ელგუჯა, ზურაბ სორდიები, როზეტა, ლარისა. სვეტა. მამუკა. ია ოდიშარიები, დეიდაშვილები ბაჩანა, ლელა. ახლო ნათესავები იუწყებიან

ბორის ლუდუკის ძე სორდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 ნოემბერს. დაკრძალვა 20 ნოემბერს ანაკლიაში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-60 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12. რადიორედაქციის 2-47-09

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 8000 შეკ. №4088